ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა #___. 38

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ახალქალაქი 19 ოქტომბერი 2016 წელი

ერთის მხრივ სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. საღამოს საჯარო სკოლა (შემდგომში - ...ყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის კარენ ნალბანდიანის სახით და მეორეს მხრივ, შპს 'მეეკი'' ...მდგომში - მიმწოდებელი) სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ...რველი პუნქტის ,,ს'' ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ...ახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დიზელის საწვავი (CPV კოდი 09134200)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს __ __(191,80)ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს კარენ ნალბანდიან.

4.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.3. ხელშეკრულებაზე კონტროლს განმახორციელებელი პირი-სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ანდრანიკ პალიან

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: სოფელი საღამო.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები დაჯარიმდებიან ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 1 ოქტომბრიდან 2016 წლის და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ საღამოს საჯარო სკოლა მის: ნინოწმინდის მუნ-ტი სოფ. საღამო საიდენტიფიკაციო კოდი 236689099 ბანკი: სს ,,ლიბერთი ბანკი'' ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ა GE41LB0121134191211000 ტელ: 551 08 61 28 სკოლის დირექტორი პატარა ბაღდასარიანი	შპს 'მეეკი" მისამართი: ქ.ნინოწმინდა,სოფ.სათხა. საიდენტიფიკ.კოდი:236684469 ბანკის კოდი: BAGAGE22 საქართველოს ბანკი *ა/ა: GE39BG0000000186505500* ტელ: 599 17 11 01, 551 96 00 00. დირექტორი ნ.ბაბოიან

მიღება-ჩაბარების აქტი № __.

ქ. ახალქალაქი

„ 19 ოქტომბერი 2016წ.

შპს 'მეეკი"-მ ჩააბარა, ხოლო ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ს. საღამოს საჯარო სკოლის დირექტორმა კარენ ნალბანდიანმა მიიღო ხელშეკრულებით # 38 . 19.10.2015 წ. - დიზელის საწვავი-
-131,8- ლარის ღირებულების.

კ. ნალბანდიან
მიიღო

ნ. ბოიან
ჩაბარა

ნებართვა # 3456

ნებართვა # 3456

ნებართბის დასახელება	საწვავის შესყიდვა არაგამარჯვებული მიმწოდებლოსაგან
მოკლე აღწერა	საწვავის შესყიდვა არაგამარჯვებული მიმწოდებლოსაგან, სატენდერო დოკუმენტაციის 5.9 პუნქტის შესაბამისად, გამარჯვებული მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურის 15 კმ-იანი დაშორების შემთხვევაში, საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის გამო
სტატუსი	თანხმობა
დამატებულია	10:57 19/10/2016
სტატუსი მინიჭებულია	12:03 19/10/2016
ტენდერის ნომერი	CON150000070
შესყიდვის ობიექტი	დიზელი (გატანა ავტოგასამართი სადგურიდან)
კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებელი	შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"
კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი	1.33
მანძილი თქვენი ორგანიზაციის ადგილმდებარეობასა და კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის უახლოეს ავტოგასამართ სადგურს შორის (ერთეული კილომეტრებში)	110

,ამარჯვებული .ძწოდებლის დასახელება, რომელმაც შემოგთავაზათ ყველაზე დაბალი ფასი და რომლისგანაც გსურთ საწვავის შესყიდვა	შპს "მეკკი"
არაგამარჯვებული მიმწოდებლის შემოთავაზებული ფასი (წინადადება), რომლისგანაც გსურთ საწვავის შესყიდვა	1,37
მანძილი თქვენი ორგანიზაციის ადგილმდებარეობასა და კონსოლიდირებულ ტენდერში არაგამარჯვებული მიმწოდებლის უახლოეს ავტოგასამართ სადგურს შორის, რომლისგანაც გსურთ საწვავის შესყიდვა (ერთეული კილომეტრებში)	18
მიმდინარე თვის განმავლობაში საბიუჯეტო სახსრების მოსალოდნელი ეკონომია (ლარებში), საწვავის არაგამარჯვებული მიმწოდებლისაგან შესყიდვის შემთხვევაში	80-95
ბაზრის კვლევის შედეგები. გთხოვთ, მიუთითოთ სხვა არაგამარჯვებული მიმწოდებლების დასახელება (არსებობის შემთხვევაში) და მათ მიერ შემოთავაზებული ფასები (ჩამონათვალი გამოყავით მძიმეებით)	1,37
თვე, რომლის საჭიროებასაც წარმოადგენს არაგამარჯვებულთან საწვავის შესყიდვა (გთხოვთ თვეების ჩამონათვალი გამოყოთ მძიმეებით)	ოქტომბერი, ნოემბერი.

...ავის რაოდენობა ...ლიტრებში), რომლის მესყიდვა/ჩასხმა გსურთ არაგამარჯვებულ მიმწოდებელთან	140
თქვენი კომენტარი	კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის "სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი" გასამართი სადგური ჩვენი ორგანიზაციიდან დაშორებულია 110 კმ-ით. საგზაო ხარჯების გათვალისწინებით ჩვენ ერთი ლიტრი საწვავის შესყიდვა მოგვიწევს მის თვითღირებულებაზე მაღალ ფასში, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია საწვავის შესყიდვა სკოლასთან ახლომდებარე ტენდერში არაგამარჯვებულ კომპანიის გასამართ სადგურიდან, რითაც ორგანიზაცია ექვსი თვის განმავლობაში დაზოგავს 500-540 ლარს.